განკარგულება:**გ-17. 17233009**
თარიღი:**27/10/2023**

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის შეფასება 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა.“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

1. მოსმენილი იქნას და შეფასდეს დადებითად ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშის შეფასება 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ თანახმად დანართისა.

2. განკარგულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (ქ. ახალციხე მებაღიშვილის ქ #62).

დავით ზაალიშვილი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2023 წელსაც ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრეს პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი სრულყოფა წარმოადგენს. შესაბამისად ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხებიც სწორედ სამშენებლო სამუშაოებს მოხმარდება.

ჯამში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაიხარჯება **20 687 379 ლარი**, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან **8 910 032** ლარი, რეგიონალური განვითარების ფონდიდან **8 165 338** ლარი, მთის ფონდი **716 794 ლარი,** სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის **446 000** ლარი, განახლებული რეგიონების პროგრამისათვის **1 641 238** ლარი, საჯარო სკოლები დაფინანსდება **97 060** ლარით, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის **1 427 711 ლარი** .

გზების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 5 278 496 ლარი.

გზების რეაბილიტაცია განხორციელდა :

- ქ. ბორჯომში კოსტავას ქუჩის(იუსტიციის სახლის მიმართულება) რეაბილიტაცია;
- სოფ. ქვაბისხევში ეკლესიასთან მისასვლელი გზისა და სოფ. ჭობისხევში სკოლის უკან მდებარე უბნის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში წაქაძის ქუჩის ჩიხის (სასტუმრო მზიური ველის მიმდებარედ) რეაბილიტაცია;
- სოფ. საკირეში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია;
- სოფ. მოლითის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;
- სოფ. დგვარში შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ მზეთამზეში თედიაშვილების უბანში საავტომობილო გზის და სოფელ ტიმოთესუბანში ახალ დასახლებაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.

მიმდინარეობს:

- სოფ. დვირში ხუციშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია;
- სოფ.ყვიბისში ბერის საყდრებში მისასვლელი (I მონაკვეთი) გზის რეაბილიტაცია;

განხორციელდება:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ყვიბისში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა მიტარბში მისასვლელი გზის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სოფ.ანდეზიტში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია.

აღნიშნული გზების რეაბილიტაციის შედეგად ჯამში მოხდება 11.0 კმ მონაკვეთის მოწესრიგება.

.

ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 312 663 ლარი:

სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია:

- ქ. ბორჯომში გზის გამყოლი მოაჯირების, ფანჩატურების და ავტომოსაცდელების რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში, გზის ფეხით სავალ ნაწილზე ბეტონის ბოძკინტების მონტაჟი, ჩაანკერება.

განხორციელდება :

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში ბორჯომის ქუჩაზე ცენტრალური გზის გამყოლი ღობეების რეაბილიტაცია.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა პატრონობისათვის ჯამში დაიხარჯება - 1 270 300 ლარი.

გარე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მოვლა პატრონობისათვის დაიხარჯება 145 000 ლარი;
გარე ვიდეო სამეთვალყურეო კამერების მონტაჟისათვის - 530 000 ლარი.

წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 227 000 ლარი, სამშენებლო სამუშაოები დასრულდა:

- სოფ.ციხისჯვარში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია.

განხორციელდება :

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში სადგურის უბანში კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია.

გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციისათვის დაიხარჯა: 505 545 ლარი, განხორციელდა:

- მაღალმთიან დასახლებებში: თორში, გუჯარეთში, კოდიანზე და გომნაში მცხოვრები მოსახლეობისათვის მზის ელექტროსადგურების შეძენა.

განხორციელდება:

- ქ.ბორჯომში ცენტრალურ ქუჩაზე გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია.

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაციისა და ცენტრალურ ქუჩაზე ფასადების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 3 454 368 ლარი, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება :

- ქ. ბორჯომში რუსთაველის ქ#85-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში რუსთაველის ქ#93-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში რუსთაველის ქ#93-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია;
- ქ.ბორჯომში მესხეთის ქ.#146ა და 146ბ-ში არსებული ავტობაზის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში არსებული ტურისტული ცენტრის რეაბილიტაცია;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, პარკის ტერიტორიაზე მდებარე შენობის დემონტაჟის სამუშაოები;

  ქ. ბორჯომში, რუსთაველის #107-ში მდებარე შენობის მოსამზადებელი (დემონტაჟისა და გაწმენდის) სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოები დასრულდა:

- ქ. ბორჯომში, სააკაძის ქუჩა #2-ში არსებული ფასადის რეაბილიტაცია.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს დაიხარჯება 1 019 759 ლარი, განხორციელდება:

სამშენებლო სამუშაოები რომელიც დაიწყოს 2022 წელს და დასრულდა 2023 წელს :

- ქ. ბორჯომში რუსთაველის ქ. I შესახვევის #5 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში, გურამიშვილის ქ. #4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 64.03.14.048.01.004) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები;
- ქ. ბორჯომში თორის ქუჩა #58 და #60- ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში 9 აპრილის ქ. #22-ში და რუსთაველის ქ. #95 არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში შანიძის ქ. #9-ში საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო მაგისტრალის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში ფიროსმანის ქ. #19-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში რუსთაველის პირველი შესახვევი #1ა-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია.

განხორციელდება:

- ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. N7-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში, პეტრე იბერის ქ. #7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია
- ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩა #147-ში მდებარე (საკადასტრო კოდი 64.03.11.061.01.500) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ჩრდილო-დასავლეთის ფასადის მზიდ კედლებში არსებული კარისა და ფანჯრის დაზიანებული ღიობების გაძლიერება;
- ქ. ბორჯომში ფალიაშვილის ქ. N4-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე თოვლდამჭერების მოწყობა;
- ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. N107-ში ცხრა სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავისა და ლიფტის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. N105-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავისა და ლიფტის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში თორის ქ. N118-ში თორმეტ სართულიანი კორპუსის ლიფტის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში რუსთაველის ქ. #79-ში ორსართულიანი, მრავალბიანიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია;
- ნინოშვილისა და აღმაშენებლის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი ბინების სახურავების რეაბილიტაცია.

საყრდენი კედლების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 991 378 ლარი.

განხორციელდება:

- სოფ. ყვიბისში ე.წ "კვახიანი ღელეზე " ნაპირდამცავი კედლის მოწყობა;
- სოფ.ჭობისხევში ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში გოგიას ციხის ქ#6-ში საყრდენი კედლის მოწყობა;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერში მდ. გუჯარულაზე ნაპირდამცავი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები და სოფ. მზეთამზეში საავტომობილო გზის დამცავი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები.

სამუშაოები დასრულდა:

- ქ. ბორჯომში, თორის ქ. #40-ის მიმდებარედ ფერდის დამცავი კედლის მოწყობა;
- ქ. ბორჯომში გელოვანის ქუჩის გზის დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები.

სანიაღვრე არხების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 125 000 ლარი.

მიმდინარეობს:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების გამყოლი სანიაღვრეების რეაბილიტაციის და მოვლა- პატრონობის სამუშაოები.

სკვერების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 901 496 ლარი.

სამშენებლო სამუშაოები დასრულდა:

- ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე სანაპიროზე სკვერის მოწყობა (მე-2 ეტაპი);
- ქ. ბორჯომში სადროშე ბოძის მონტაჟის სამუშაოები;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების (გამარჯვების ქ.#33, ხანძთელის ქ.N1,ნიკოლაძის ქ. #19, მესხეთის ქ.#31გ. მესხეთის ქ.#105, რუსთაველის ქ.91-ის და 93-ის მიმდებარედ, თორის ქ.#6, რუსთაველის ქ. 83-ის მიმდებარედ, თორის ქ#118, წმინდა ნინოს ქუჩის მიმდებარედ) რეაბილიტაცია.

მიმდინარეობს:

- ქ.ბორჯომში QR კოდების წამკითხველი კუბების, საინფორმაციო მონიტორებისა და მ.კოსტავას ბაღში ღია კინოთეატრისათვის მონიტორისა და აპარატურის შეძენა

სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამის ფარგლებში დაიხარჯება 104 450 ლარი.
განხორციელდა:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. სადგერიდან გოგირდის აბანომდე ჩასასვლელი საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია.

სახელმწიფო პროგრამა განახლებული რეგიონების ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები დასრულდა ბორჯომში მ. კოსტავას სახელობის პარკში და მოედანზე, მიმდინარე წელს პროექტი დაფინანსდა **1 641 238** ლარით.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ხელშეწყობისათვის ჯამში დაიხარჯება 1 318 000 ლარი,

33 სოფელში განხორციელდა 35 პროექტი, კერძოდ:

- ✓ სკვერების რეაბილიტაცია განხორციელდება - 7 სოფელში;
- ✓ სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 12 სოფელში;
- ✓ გზები და გზისპირა მოსაცდელები - 3 სოფელში;
- ✓ ხიდების რეაბილიტაცია -1 სოფელში;
- ✓ გარე განათების ქსელი - 3 სოფელში;
- ✓ სანიაღვრე ქსელი და სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა - 4 სოფელში;
- ✓ სასაფლაოს შემოღობვა - 2 სოფელი;
- ✓ სპორტული ინფრასტრუქტურა - 3 სოფელი.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურებისათვის ჯამში 561 095 ლარი.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ხარჯებში გათვალისწინებულია 1 427 711 ლარი, სამუშაოები დასრულდა:

- ქ. ბორჯომში, მესხეთის ქუჩა #31-ში სამგზავრო ლიფტის რეაბილიტაცია;
- ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. #31-ში 16 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაციის სამუშაოები (ს/კ 64.23.01.650).

ხოლო სამუშაოები მიმდინარეობს ქ. ბორჯომში რობაქიძის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მდ. მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის მოწყობაზე.

საჯარო სკოლებში ფინანსური დახმარება და რეაბილიტაციისათვის გაიხარჯება 97 060 ლარი, დასრულდა:

- ქ. ბორჯომში მესხეთის ქ N89-ში მდებარე სსიპ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის (გარე ფასადი, შიდა ინტერიერი, სახურავი ნაწილობრივ) სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის გაიხარჯება 281 882 ლარი, განხორციელდა:

- ✓ დაბა ახალდაბაში საბავშვო ბაღის შენობის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ✓ დაბა ახალდაბის საბავშვო ბაღის შენობის სახურავზე მზის პანელების მონტაჟ.

განხორციელდება:

- ✓ ქ. ბორჯომის N4 საბავშვო ბაღის შენობის სახურავისა და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სპორტული მოედნების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯება 413 715 ლარი, განხორციელდება:

- ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ტაძრისში მინი სპორტული მოედნის მოწყობა;
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 5 ლოკაციაზე გარე გამოყენების ქუჩის ტრენაჟორების გადახურვის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ქ. ბორჯომში მესხეთის ქ. N43-ში და ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

კულტურის სფეროს დაწესებულებების რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 81 223 ლარი,

დასრულებულია:

- ქალაქ ბორჯომში წმინდა ნინოს ქუჩა N11-ში ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოები.